



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 30  
30/06/2017

30-04-4-201706301633



**„ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106<sup>1</sup>-ე და 106<sup>5</sup>-ე მუხლების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.
2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ამირან დევამე)
3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 21 ივლისი.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციული - სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 28 ივლისი.
5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.
6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.keda.ge](http://www.keda.ge)).
7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მ. სალაძემ.
8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ამირან ცინცამე

საკრებულოს თავმჯდომარე

## ცნობა

### საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ა.დევაძე)(მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2017 წლის 20 ივლისს დღის 18 საათამდე საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2017 წლის 21 ივლისს დღის 14:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

„ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2017 წლის 28 ივლისი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

2017 წლის \_\_\_\_\_

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.**

ქედის მუნიციპალიტეტი დაიყოს 10 (ათი) ადმინისტრაციულ ერთეულად.

**მუხლი 2.**

ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებია

- 1) **დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: დაბა ქედა, სოფელი ქედა, სოფელი გულები, სოფელი ხუნკუდა, სოფელი ორცვა, სოფელი არსენაული, სოფელი შევაბური, სოფელი ძენწმანი, სოფელი კორომხეთი, სოფელი ცხემნა, სოფელი აქუცა, სოფელი ზენდიდი.
- 2) **დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი დანდალო, სოფელი ტაკიძეები, სოფელი მოსიაშვილები, სოფელი გოგიაშვილები, სოფელი ბალაძეები, სოფელი ხარაულა, სოფელი ჯალაბაშვილები.
- 3) **ზვარეს ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი ზვარე, სოფელი ზესოფელი, სოფელი კვაშტა, სოფელი სირაბიძეები, სოფელი ვაიო.
- 4) **მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი ზედა მახუნცეთი, სოფელი ქვედა მახუნცეთი, სოფელი ზუნდაგა, სოფელი ზედა ბზუბზუ, სოფელი ქვედა ბზუბზუ, სოფელი უჩხითი, სოფელი ნამლისევი, სოფელი ქოსოფელი, სოფელი მილისი.
- 5) **დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი დოლოგანი, სოფელი ჭალახმელა, სოფელი ჭინკაძეები.
- 6) **მერისის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი მერისი, სოფელი სიხალიძეები, სოფელი ინაშარიძეები, სოფელი გარეტყე, სოფელი გუნდაური, სოფელი ნამონასტრევი, სოფელი სილიბაური.
- 7) **ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი ოქტომბერი, სოფელი კუჭულა, სოფელი მეძიბნა, სოფელი აგოთა, სოფელი გოგინიძეები.
- 8) **პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი პირველი მაისი, სოფელი ზედა აგარა, სოფელი ქვედა აგარა, სოფელი კოლოტაური.
- 9) **ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი ცხმორისი, სოფელი ახო, სოფელი ჩეტკიძეები, სოფელი გობრონეთი, სოფელი კოკოტაური, სოფელი გეგელიძეები.

10) წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები: სოფელი წონიარისი, სოფელი ვარჯანისი, სოფელი ტიბეთა, სოფელი კანტაური, სოფელი აბუქეთა, სოფელი სასადილოყელი, სოფელი საბადური.

**მუხლი 3.**

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ოქტომბრის №30 დადგენილება (ვებგვერდი, 23/10/2014; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016149).

**მუხლი 4.**

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

ამირან ცინცაძე

## განმარტებითი ბარათი

### „ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების პროექტის შესახებ

##### ა.ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა არსებითად განაპირობებს თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის ხარისხს, ამ თვალსაზრისით იგი პირდაპირ გავლენას ახდენს მართვის ოპტიმიზაციაზე. ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 31 იანვრის №13 დადგენილების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტში გამოიყოფოდა 9 დასახლებათა გაერთიანება (შემდგომში-თემი) (ქედა, დანდალო, ზვარე, მახუნცეთი, მერისი, ოქტომბერი, პირველი მაისი, ცხმორისი, წონიარისი). აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ადგილობრივ მოსახლეობასთან კავშირის უკეთ უზრუნველსაყოფად 2011 წლისათვის გაჩნდა მუნიციპალიტეტის 10 თემად დაყოფის საჭიროება, შესაბამისად დაემატა დოლოგნის თემი.

საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ გაუქმდა თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოები და შემოღებული იქნა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის ინსტიტუტი, შესაბამისად „ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ოქტომბრის №30 დადგენილების თანახმად, ქედის მუნიციპალიტეტი დაიყო 9 ადმინისტრაციულ ერთეულად (დაბა ქედა, დანდალო, ზვარე, მახუნცეთი, მერისი, ოქტომბერი, პირველი მაისი, ცხმორისი, წონიარისი), რამაც მოსახლეობის უკმაყოფილება კიდევ ერთხელ გამოიწვია, კერძოდ მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი, საიდანაც ქედის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი თავის სამუშაოს ახორციელებს მდებარეობს სოფელ ზუნდაგის ცენტრში. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და სოფელ დოლოგანს, სოფელ ჭალახმელასა და სოფელი ჭინკაძეებს შორის, შესაბამისად არის 7 კმ, 8 კმ, 10 კმ, რაც ამწელებს იქ მცხოვრები მოსახლეობის (მოსახლეობის რაოდენობა 1221) კავშირს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, ასევე ართულებს არსებული პრობლემების შესწავლისა და მათი შესაძლო გადაწყვეტილების გზების მოძიებას.

2016 წლის 15 ნოემბერს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში რეგისტრირებული იქნა დოლოგნის მოსახლეობის კოლექტიური განცხადება, რომლის თანახმადაც მოსახლეობა მოითხოვს დოლოგნის რამდენიმე სოფლის მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან გამოყოფას და ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად ჩამოყალიბებას.

აქვე ხაზ გაზმით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფა, უშუალო კავშირშია გამგებლის წარმომადგენლის დანიშვნასთან. მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული ფართო ტერიტორიას მოიცავს, შესაბამისად გამგებლის ერთი წარმომადგენელი მართვის ოპტიმიზაციისათვის საკმარისად არ მიიჩნევა.

##### ა.ბ) დადგენილების პროექტის მიღების მიზანი:

დადგენილების პროექტის მიღების მიზანია დოლოგნის ადმინისტრაციული ერთეულის ცალკე გამოყოფა და გამგებლის წარმომადგენლის დანიშვნვა, რაც უზრუნველყოფს დოლოგნის მოსახლეობის ინტერესის დაცვას, იქ არსებული პრობლემების უკეთ შესწავლასა და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების მოძიებას.

**ა.გ) დადგენილების ძირითადი არსი და მითითება საკრებულოს იმ აქტზე, რომელიც უნდა გამოცხადდეს ძალადაკარგულად ან რომელშიც უნდა შევიდეს ცვლილება (შესაბამისი მუხლის ან პუნქტის მითითებით) :**

დადგენილების პროექტით გათვალისწინებულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ოქტომბრის №30 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადება და მუნიციპალიტეტის დაყოფა 10 ადმინისტრაციულ ერთეულად, კერძოდ:

- 11) **დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: დაბა ქედა, სოფელი ქედა, სოფელი გულეები, სოფელი ხუნკუდა, სოფელი ორცვა, სოფელი არსენაული, სოფელი შვეაბური, სოფელი ძენწმანი, სოფელი კორომხეთი, სოფელი ცხემნა, სოფელი აქუცა, სოფელი ზენდიდი.
- 12) **დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი დანდალო, სოფელი ტაკიძეები, სოფელი მოსიაშვილები, სოფელი გოგიაშვილები, სოფელი ბალაძეები, სოფელი ხარაულა, სოფელი ჯალაბაშვილები.
- 13) **ზვარეს ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი ზვარე, სოფელი ზესოფელი, სოფელი კვაშტა, სოფელი სირაბიძეები, სოფელი ვაიო.
- 14) **მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი ზედა მახუნცეთი, სოფელი ქვედა მახუნცეთი, სოფელი ზუნდაგა, სოფელი ზედა ბზუბზუ, სოფელი ქვედა ბზუბზუ, სოფელი უჩხითი, სოფელი ნამლისევი, სოფელი ქოსოფელი, სოფელი მილისი.
- 15) **დოლოგანის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი დოლოგანი, სოფელი ჭალახმელა, სოფელი ჭინკაძეები.
- 16) **მერისის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი მერისი, სოფელი სიხალიძეები, სოფელი ინაშარიძეები, სოფელი გარეტყე, სოფელი გუნდაური, სოფელი ნამონასტრევი, სოფელი სილიბაური.
- 17) **ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი ოქტომბერი, სოფელი კუჭულა, სოფელი მეძიბნა, სოფელი აგოთა, სოფელი გოგინიძეები.
- 18) **პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი პირველი მაისი, სოფელი ზედა აგარა, სოფელი ქვედა აგარა, სოფელი კოლოტაური.
- 19) **ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი ცხმორისი, სოფელი ახო, სოფელი ჩეტკიძეები, სოფელი გობრონეთი, სოფელი კოკოტაური, სოფელი გეგელიძეები.
- 20) **წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული.** დასახლებები: სოფელი წონიარისი, სოფელი ვარჯანისი, სოფელი ტიბეთა, სოფელი კანტაური, სოფელი აბუქეთა, სოფელი სასადილოყელი, სოფელი საბადური.

## ბ) დადგენილების პროექტის ფინანსური დასაბუთება

**ბ.ა) დადგენილების პროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

**ბ.ბ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

**ბ.გ) დადგენილების პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

**ბ.დ) დადგენილების პროექტის ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

დადგენილების პროექტის მიღება არ ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

**ბ.ე) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება დადგენილების პროექტის მოქმედება:**

დადგენილების პროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება.

**ბ.ვ) დადგენილების პროექტის დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):**

დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

**გ) დადგენილების პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს დადგენილების პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

დადგენილების პროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**გ.ბ) დადგენილების პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ასეთი არ არსებობს.

**გ.გ) დადგენილების პროექტის ავტორები და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი:**

დადგენილების პროექტის ავტორია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი მალვინა სურმანიძე.

დადგენილების პროექტს სხდომაზე წარადგენს: საკრებულოს წევრი ამირან დევაძე

**გ.დ) დადგენილების პროექტის ინიციატორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ამირან დევაძე, რომან დავითაძე, გოჩა გორგილაძე, რეზო თურმანიძე, ამირან ცინცაძე, გურამ ანანიძე, რომან ბედინაძე, სილოვან ბერიძე.